# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 106 | კვირა, 1 დეკემბერი, 1918 წ. | № 106


ეროვნული ბიბლიოთეკა


მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82



## გერმანულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი

გოლოვინის ქუჩა, არამიანცის სახლი.

### ბანკმა დაიწყო მოქმედება 30 ნოემბერს 1918 წელს. აწარმოებს ყოველგვარ ოპერაციებს თანახმათ ბანკის წესდებისა.



## სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

კვირას, 1 დეკემბერს, დილით.

შვამბერგის, მოლჩანოვის, ვრონსკის და ინაევის მონაწილეობით

**1 პაიაცები. II კორწილი უკრაინაში.**

დასაწყისი დღის 12 საათზე.

საღამოს—ალეშკოს, ზალიპსკის, პოლიაევის და ნიკოლსკის მონაწილეობით

**დუბროვსკი**

დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ საათზე.

სამშაბათს, დეკემბრის 3-ს შულგინას, მოროზოვის, ზალიპსკის და ვრონსკის მონაწილეობით I „M-me ბატერფლეი“, II „კავალერიის პრივალი“ (ბალეტი). ოთხშაბათს, დეკემბრის 4-ს ვ. ა. ნიკოლსკის სცენაზე მოღვაწეობის 10 წლის იუბილეი 1. „მოცარტი და სალერი“, 2. საბანეევას, ზალიპსკის, პოლიაევის და ნიკოლსკის მონაწილეობით „სევილიელი დალაქი“. ხუთშაბათს, დეკემბრის 5-ს საბანეევას, ალეშკოს, მოროზოვის, კანშინის, ვრონსკის, ნიკოლსკის და ისეცკის მონაწილეობით—„გუგენოტები“.

1081 1—1 ოპერის წარმომადგენელი ს. ევლახოვი.



## ახალქალაქის მაზრის ლტოლვილთა საყურადღებოდ

ამით ვაცხადებ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ღენერალ მაყაშვილისაგან მიღებული ცნობების თანახმად, ოსმალთა მთავრობის ნებართვით, ლტოლვილებს უფლება აქვთ წავიდენ ახალქალაქის მაზრაში. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან, კოჩუბეის ქ, № 13. ტელეფ. 16—80, 11—2 საათამდე პირადათ. საღამოობით 4—5 ს.

შინაგან საქმეთა მინისტრის რწმუნებული ლტოლვილთა საქმეებისა

1060 3—3 ა. ს. ლორთქიფანიძე.



## სენაკის სამაზრო გამგეობა

**იწვევს ორ ექიმს აბაშაში და ნაოლალევში**

სამუშაოთ. პირობები: ჯამაგირი თვეში 1000 მან., ბინა და სამგზავრო ხარჯები. მსურველთ ვსთხოვთ განცხადებანი გამოგზავნონ სამაზრო საეროზო გამგეობის სახელზე ქ. ახალ-სენაკში, curiculum vitae-ს და წინანდელი სამსახურის რეფერენციების დამატებით.

1054 7—4 სენაკის სამაზრო გამგეობა,



## სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონით (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 85-5 ოქტომბრის 1918 წ.) განსაზღვრული სენაკის მაზრისათვის საჭირო

### მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა

მოხდება სენაკის სამაზრო საერობო კრების მიერ პირველ მორიგ ყრილობაზე. ვისაც სურს კანდი იყაროს აღნიშნულ თანამდებობაზე შეუძლიანთ განცხადება გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: ახალ-სენაკი, სამაზრო ერობის გამგეობას.

1093 1—7 სენაკის სამაზრო საერობო გამგეობა.



## ექიმი ი. კ. აბაკელია

**შინაგანი ავადმყოფობა.**

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველქლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე. პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.



## რემინგტონზე

მომუშავე ახალგაზდა ქალი ეძებს ადგილს. ბეჭდვა შეუძლიან ქართულად და რუსულად მართიმისა საქართველოს მთავრობის ტამბის კანტორა. ვადაჭკორია. 3—1



## ბათუმის ქალაქის ლომბარდი

აცხადებს, რომ გირაოების გამოყიდვა მოხდება ქუთაისის საგუბერნიო ხაზინაში ამ წლის 20-დან, ყოველ დღე, დღის 11—1-საათამდე. გამგე გრ. სოლოროვი.

4—3.



## დიდიხნის ნამსახური

ასწავლის ქართულ მანქანაზე ბეჭდვას და ამზადებს დაწესებულებებისათვის (ყველა სამსახურის ქაღალდების ფორმების შესწავლით). პირობებზედ მოლაპარაკება საღამოს 4 საათზე. ლერმონტოვის ქუჩა № 29. 1106 2—1



შორაპნის სამაზრო

## ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ შორაპნის მაზრაში საჭიროა შვიდი მომრიგებელი მოსამართლე. თხოვნებს ღებულობს გამგეობა 15 დეკემბრამდე (ახ. სტ.) მისამართი: ზესტაფონი— ერობის გამგეობას. 1064 5—3


## ოფიციალური განყოფილება

# კანონი

**სახაზინო პალატების გაუქმებისა და გადასახადის და სახელმწიფოს ხაზინის სამმართველოს დაარსებისა.**

1. ტფილისსა და ქუთაისის სახაზინო პალალატები გაუქმებულ იქნეს. ამ პალატების მოხელენი, რომელნიც ახალ თანამდებობაზე არ დაინიშნებიან, დატოვებულ იქნენ შტატ გარეშე საერთო წესით.

II. დაარსებულ იქნეს ტფილისში გადასახადისა და სახელმწიფოს ხაზინის სამმართველო.

1. სამმართველო შესდგება სამმართველოს უფროსისა, მისი თანაშემწისა, განყოფილებათა გამგეებისა, მდივნისა და სხვა მოსამსახურეთაგან, რომელთა რიცხვი და ჯამაგირის რაოდენობა ნაჩვენებია ამასთანავე დართულ შტატში.

2. სამმართველო შესდგება ოთხის განყოფილებისაგან, რომელთა უახლოესი ხელმძღვანელობაც განყოფილებათა გამგეებს ეკუთვნის. განყოფილებათა შორის მუშაობის განაწილება და ერთ განყოფილებიდან მეორეში საქმის წარმოების გადატანა დამოკიდებულია სამმართველოს უფროსზე.

3. სამმართველოსთან არსებობს საერთო საკრებულო სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით და მის თანაშემწისა და განყოფილებათა ყველა გამგეობების მონაწილეობით.

4. ხაზინები სამმართველოს გამგებლობაში იმყოფება.

5. სამმართველოს უფროსს დანიშნავს თანამდებობაზე და დაითხოვს რესპუბლიკის მთავრობა, ფინანსთა მინისტრის წარდგენით. სამმართველოს უფროსის თანაშემწესა და განყოფილებათა გამგეებს თანამდებობაზე დანიშნავს და დაითხოვს ფინანსთა მინისტრი, სამმართველოს სხვა მოსამსახურეებს-კი სამმართველოს უფროსი.

6. სამმართველოს უფროსის მოვალეობას, სათანადო შემთხვევაში, დროებით ასრულებს მისი თანაშემწე, ხოლო განყოფილების გამგისას—ერთ-ერთი საქმის მწარმოებელთაგანი სამმართველოს უფროსის განკარგულებით.

7. სამმართველო ვალდებულია რესპუბლიკის მთელს მიწა-წყალზე გადაწყვიტოს და აწარმოვოს ის საქმე, რომელიც მომქმედი კანონებით სახაზინო პალატის ხელში იყო, აგრეთვე თავს იდვას გუბერნიის სამმართველოს მოვალეობა იმ ქონების აღწერა-შეფასებისა და საჯაროდ გაყიდვისათვის, რაზედაც უვადო წესით ასაკრეფი გადასახადია დარჩენილი.

8. ამიერიდან მოისპოს სახაზინო პალატის საქმეები, რომელიც შეეხებოდა სხვა და სხვა წოდებრივ საზოგადოებაზე მიწერას ან და ასეთ საზოგადოებიდან გამორიცხვას. ყოფილ მდაბიო მოქალაქეთა და გლეხთა მიერ შვილობილის აყვანისა და ქორწინების გარეშე შობილ ბავშვთათვის გვარისა და მამის სახელის მიკუთვნების საქმე, აგრეთვე აღდგენა ყოფილ მოხარკე წოდების პირთა მიერ დაკარგულ გვარისა, სახაზინო პალატიდან გადადის საოლქო სასამართლოში.

9. ანგარიშის გამოქვეყნებისაგან განთავისუფლებულ ვაჭრობა-მრეწველობის დაწესებულებაზე დარჩენილ დამატებითი სარეწავი გადასახადის და მოგების ზრდაზე დროებითი გადასახადის ანგარიშის წარმოება დაევალება ხაზინას, ხოლო მოგების ზრდაზე დროებითი გადასახადის აღრიცხვა და ორივე გადასახადის ხარჯის ფურცლების დაგზავნა ვალად აძევს გადასახადთა ინსპექტორს.

10. ორთქლით მომუშავე ქვაბისთვის დაწესებული გადასახადის აკრეფის მეთვალყურეობა და მაზე გაწერილ გადასახადთა ანგარიშის წარმოება, (სამრეწველო დებულების 76 მუხლის შენიშვნა, გაგრძელება 1912 წ.), გადადის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ადგილობრივ აგენტების გამგებლობაში.

**სამმართველოს საერთო საკრებულოს ხელში გადადის:**

1. იმ ქონების საჯაროდ გაყიდვა, რაზედაც დარჩენილია სახელმწიფო გადასახადი.

2. ნარდათ ასაღებ სამუშაოს იჯარით გაცემა.

3. ხმარებაში გამოსულ ან უვარგისი საღერბო ნიშნების, საღერბო ქაღალდების, ფულის აღნიშნულობის ბლანკების, შემოსავლის ჟურნალის ფურცლების და სხვა ფასიან ბლანკებისა და ქაღალდების მოსპობა.

4. გადიდება საღერბო ნიშნების ავანსის რაოდენობისა სათანადო გამყიდველ დაწესებულებათათვის, აგრეთვე ამ დაწესებულებათა რიცხვის შემცირება და გამრავლება.

5. დაჯარიმება სხვა და სხვა სახელმწიფო გადასახადთა დებულების დარღვევისათვის.

6. გამორიცხვა სამმართველოსა და ხაზინის ანგარიშებიდან იმ გადასახადისა, რომლის აკრეფა უიმედოთ იქნება მიჩნეული ან და უმართებულოდ ყოფილა აღრიცხული და შეცდომით ითვლებოდა საანგარიშო წიგნებში, აგრეთვე დაბრუნება ხაზინაში უმართებულოდ შესულის ფულისა.

7. გადარიცხვა ერთი დარგიდან მეორეში ხაზინაში შესულ იმ გადასახადისა, რომელიც არ არის ჩარიცხული სათანადო გადასახადის დარგში, აგრეთვე შეღავათის მინიჭება გადასახადის გამღებთათვის დარჩენილ გადასახადის აკრეფის დროს ვადის გაგრძელების ან ნაწილობითი გადახდევინების სახით იმ ფარგლებში, რომელიც მინიჭებული ჰქონდა არსებული კანონით სახაზინო პალატებს.

8. ტფილისის ხაზინის ყოველთვიური და მოულოდნელი რევიზია.

9. ყველა საქმეები, რომელთა საერთო საკრებულოში გარჩევა მიჩნეულ იქნება აუცილებლად ფინანსთა მინისტრისა და სამმართველოს უფროსის მიერ.

10. საერთო საკრებულოში საქმეები ხმის უბრალო უმრავლესობით გადასწყდება, ხოლო ხმათა თანასწორობის დროს თავმჯდომარის ხმით. იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე საერთო საკრებულოს გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა, საკრებულოს გადაწყვეტილება, თავმჯდომარის საგანგებო მოსაზრების თანადართვით, დასამტკიცებლად წარედგინება ფინანსთა მინისტრს და ძალაში შევა ხოლო იმ შამთხვევაში, თუ ეს გადაწყვეტილება მინისტრმა დაამტკიცა.

11. უფლების საზღვარი, მოვალეობის ფარგალი და პასუხისმგებლობა სამმართველოს უფროსისა, მის თანაშემწისა, განყოფილებათა გამგეებისა და სამმართველოს სხვა მოსამსახურეთა განმარტებულია იმ წესებში, რომელიც დაკანონებულია მომქმედი დებულებით სახაზინო პალატის გამგისა, მისი თანაშემწისა, განყოფილებათა უფროსებისა და სახაზინო პალატების სხვა სათანადო მოსამსახურეთათვის.

12. სამმართველოს უფროსს დაევალება გადასახადის ინსპექტორების და მათ თანაშემწეთა საქმის წარმოების ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა.

13. სამმართველოს უფროსი თავმჯდომარეობს გუბერნიის საადგილ-მამულო გადასახადის, ქალაქებში უძრავ ქონებათა სახელმწიფო გადასასახადის, სარეწავი გადასახადთა და შემოსავლის გადასახადის საკრებულოებს. ხსენებულ საკრებულოთა საქმის წარმოება ვალად აძევს სამმართველოს სათანადო განყოფილების გამგეს საკრებულოს წევრის უფლებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ფინანსთა მინისტრს უფლება ეძლევა ქუთაისის საგუბერნიო საკრებულოების თავმჯდომარისა და საქმის მწარმოებელ წევრის მოვალეობა მიანდოს საგანგებო პირთ.

III. სათანადო კანონდებულების შესაცვლელად და დასამტკიცებლად დადგენილ იქნეს:

1. მიწის გადასახადის, ქალაქის უძრავ ქონების სახელმწიფო გადასახადის, სარეწავი გადასახადის და შემოსავლის გადასახადის გუბერნიის საკრებულო შესდგება გადასახადისა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით, ან სამმართველო სათანადო განყოფილების გამგისა და შემდეგი წარმომადგენლებისაგან: თითო-თითო ადგილობრივ საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის და ოთხი სათანადო გადასახადთა გამგებისაგან, უკანასკნელნი ირჩევიან სათანადო ერობათა და ქალაქთა თვითმმართველობისაგან.

დამატებითი სარეწავი გადასახადის საქმეები საგუბერნიო საკრებულოში უნდა განხილულ იქნეს, ზემოჩამოყვანილ წევრთა გარდა, სახელმწიფო კონტროლისა, სააქციზო და სამთო უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით—ხმის გადამწყვეტ უფლებით.

შ ნ ი შ ვ ნ ა: მიწის გადასახადის საკრებულოში ამოირჩევენ: ოთხ წევრს საერობო თვითმართველობანი, ქალაქის უძრავ ქონებათა გადასახადის საკრებულოში—ოთხ წევრს—ქალაქის თვითმართველობანი, სარეწავი და შემოსავლის გადასახადის საკრებულოში ორი—საერობო და ორი ქალაქის თვითმმართველობანი.

2. საგუბერნიო სარეწავი საკრებულოს მოვალეობა არის განიხილოს საჩივარი გადასახადის საქმეში და სამაზრო საკრებულოების მიერ გადასახადის ზედმეტად ან უმართებულოდ აღრიცხვის გამო; ყოველ წლის დასაწყისშივე დაჰყოს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი და პირადი—სარეწავო სამუშაო ჯგუფებად და დამატებითი გადასახადის დასადგენად მათი საშუალო მოგების პროცენტი დაადგინოს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საგზაო ან სამაზრო გადასახადის საკრებულოთა მოვალეობა არის განიხილონ გადასახადის გამგეთა უთანხმოების განცხადება და მიიღონ საჩივარი, რომელიც შემოტანილი იქნება გადასახადის გამგებლისაგან მათ დადგენილებაზე; თავისი დასკვნა წარადგინოს საგუბ. სარეწავ საკრებულოში.

3. ქუთაისის ხაზინის ყოველდღიურ სარგებლობის საკრებულო ქუთაისისა და ქუთაისის მაზრის გადასახადის ინსპექტორთა და ადგილობრივ საბაჟოს ინსპექტორისაგან. საკრებულოს თავმჯდომარეობას დაეკისრება ერთერთ გადასახადის ინსპექტორს, რომელსაც დანიშნავს ფინანსთა მინისტრი.

4. გუბერნიის საერობო თვითმართველობის, მოქურჩაბადის, საგუბერნიო საკრებულოს წევრების, რომელნიც არჩეულ უნდა იყვნენ თვითმართველობისაგან, დანიშნავს ფინანსთა მინისტრი გუბერნიის კომისრის წარდგენის თანახმად. გუბერნიის კომისარი კანდიდატებს უნდა წარადგენს გადასახადის და სახელმწიფო ხაზინის უფროსის შეთანხმებით.

5. საერობო საგუბერნიო დაწესებულებათა დებულების 1016 მ. და სამოქალაქო კანონთა 157 მუხლის შესაცვლელად დადგენილ იქნეს:

1. ყოველ მაჩვენო მოქალაქის მიერ შელოდ იყვნენ სასამართლო სამართლოს სანმართლოში იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების 1460–8, 1460–12 მუხლით.

2. ყოველ მაჩვენო მოქალაქის და გლეხის მიერ ნაჩვენები და კონფისკი ... შობილი ბავშვის გვარისა და მამის სახელის მიღების, დამტკიცება და აგრეთვე ... გენი ყოფილ მოხარკე წოდების პირთა მიერ დაკარგული გვარისა სწარმოებს საოლქო სასამართლოში.

6. მიეცეს ფინანსთა მინისტრს უფლება გამოსცეს ინსტრუქცია ამ კანონის ცხოვრებაში გასატარებლათ და აგრეთვე წესდებაც სახაზინო პალატების ლიკვიდაციისა და ამ პალატების საქმეთა გადასახადის და სახელმწიფოს ხაზინის სამმართველოსთვის გადაცემისა.

7. ტფილისის და ქუთაისის სახაზინო პალატების შესანახი კრედიტი დახურულ იქნეს ლიკვიდაციის ფაქტიური დასრულების შემდეგ, რომელიც უნდა მოხდეს არა უგვიანეს ამა წლის დეკემბრის 31-სა.

8) გადაიდოს სახელმწიფოს ხაზინიდან გადასახადის და სახელმწიფოს ხაზინის სამმართველოს შესანახად, თანახმად ამ კანონთან დართული შტატისა ამა 1918 წ. ნოემბრის პირველიდან წლის დამლევამდე ას ორმოცდა ცხრა ათას ასი (149100) მან. შემდეგის დანაწილებით: 1) მოხელეთა ჯამაგირისათვის 130000 მან. 2) ბინისათვის 2250 მან., 3) კანცელარიის და სხვა სამეურნეო ხარჯისათვის 14850 მან. და 4) საგზაო ხარჯათ 2000 მანეთი.

1918 წ. ნოემბრის 19.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## გადასახადის და სახელმწიფოს ხაზინის სამმართველოს შტატი.

| №№ რიგზე. | თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა. | რ ი ც ხ ვ ი. | ჯამაგირი თვითეულის წლიურად. | ჯამაგირი ყველას წლიურად. | ყველას ნოემბ-რიდან წლის დამლევამდე. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამმართველოს უფროსი | 1 | 12000 | 12000 | 2000 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 10800 | 10800 | 1800 |
| 3 | განყოფილების გამგე | 4 | 10200 | 40800 | 6800 |
| 4 | მდივანი | 1 | 8400 | 8400 | 1400 |
| 5 | საქმის მწარმოებელი | 18 | 7200 | 129600 | 21600 |
| 6 | მათი თანაშემწე | 28 | 6000 | 168000 | 28000 |
| 7 | სამმართველოს ქონების გამგე | 1 | 6000 | 6000 | 1000 |
| 8 | მისი თანაშემწე | 1 | 4800 | 4800 | 800 |
| 9 | ექსპედიტორი | 1 | 5400 | 5400 | 900 |
| 10 | მოანგარიშე | 21 | 5400 | 113400 | 18900 |
| 11 | მანქანით გადამწერი | 5 | 4800 | 24000 | 4000 |
| 12 | რეგისტრატორი | 49 | 4800 | 235200 | 39200 |
| 13 | შიკრიკი | 6 | 3600 | 21600 | 3600 |
| | | — | — | 780000 | 130000 |

**დ ა მ ა ტ ე ბ ა:**

| | |
|---|---|
| 1. ბინის დასაქირავებლად | 2250 |
| 2. კანცელარიის და სხვა სამეურნეო ხარჯისათვის | 14850 |
| 3. საგზაო ხარჯი მოხელეთა | 2000 |
| | 19100 |
| სულ . . . | 149100 |

1918 წ. ნოემბრის 19.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

# კ ა ნ ო ნ ი

**პირველ-დაწყებითი სკოლების დამართვისა.**

1. გაიხსნას ტფილისის გუბერნიაში 37 ახალი პირველ-დაწყებითი სკოლა.
2. გაიხსნას ახალი კომპლექტი 13 მრავალრიცხოვან სასოფლო სკოლაში.
3. გაეხსნას განათლების სამინისტროს კრედიტი ახალ სკოლების და კომპლექტების შესანახავად,—თანახმად ამ კანონთან დართულ ხარჯთ-აღრიცხვისა,—ას ოცდა ერთი ათასი ოთხას ორმოცი (121440) მანეთი.

1918 წ. ნოემბრის 19-ს.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

# ხ ა რ ჯ თ - ა ღ რ ი ც ხ ვ ა

პირველ-დაწყებითი სკოლებისა ტფილისის გუბერნიაში.

| №№ რიგზე. | ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა. | რიცხვი. | ჯამაგირი წლიურად თვითეულის. | ჯამაგირი წლიურად ყველას. | ყველას ნოემბ. 1-დან წლის დამლევამდე. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მასწავლებელი ახალი სკოლისა | 37 | 4800 | 177600 | 59200 |
| 2 | მოსამსახურე | 37 | 120 | 4440 | 1480 |
| 3 | სამეურნეო ხარჯი | 37 | 240 | 8880 | 2960 |
| 4 | სკოლის მოსაწყობად | 37 | — | — | 37000 |
| 5 | მეორე მასწავლებელი უკვე მომქმედ სკოლაში | 13 | 4800 | 62400 | 20800 |
| | | — | — | 253320 | 121440 |

1918 წ. ნოემბრის 19-ს.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## კ ა ნ ო ნ ი.

**გურიის უმაღლეს-დაწყებითი სკოლებისთვის ერთდროული დახმარებისა.**

მიეცეს სახელმწიფოს ხაზინიდან ერთდროული დახმარება ლიხაურის, აცანის, ამაღლების და ბახვის უმაღლეს—დაწყებით სკოლებს, თითოს სამი ათასი მანეთი, სულ თორმეტი ათასი (12,000) მანეთი.

19 ნოემბერი, 1918 წ.
საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## კ ა ნ ო ნ ი

**ორასი მილიონი მანეთის ბონის ახლად გამოცემისა.**

1. საქართველოს პარლამენტი უფლებას აძლევს მთავრობას—გამოსცეს კიდევ ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბონები, გარდა უკვე გამოცემულის 580 მილიონისა,—ადერბეიჯანის მთავრობასთან შეთანხმებით,—ორასი მილიონისა, რომლისაგანაც ასი მილიონი მანეთი უნდა მიეცეს ადერბეიჯანის მთავრობას და ასი მილიონი მანეთი დარჩეს საქართველოს მთავრობის განკარგულებაში. პასუხის-მგებლობა ამ ორასი მილიონი მანეთ ბონისა ჰმართებს ორსავე რესპუბლიკას,—საქართველოს და ადერბეიჯანს,—თანახმად განსაკუთრებული ხელშეკრულებისა.

26 ნოემბერი, 1918 წ.
საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## კ ა ნ ო ნ ი

**სხვა და სხვა უწყების სკოლათა განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლისა.**

1. ყველა უწყების სკოლები, განურჩევლად ტიპისა და ხარისხისა,—გარდა სამეურნეო სკოლებისა,—გადავიდეს სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში.

2. ეხლანდელი სამეურნეო სკოლები, ან რომელიც მომავალში იქნება,—ექვემდებარება მიწად-მოქმედების სამინისტროს.

19 ნოემბერი, 1918 წ.
საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## კ ა ნ ო ნ ი

**საჩხერში ცეცხლისაგან დაზარალებულთა დახმარებისა.**

გადაეცეს სახელმწიფოს ხაზინიდან შორაპნის სამაზრო საერობო გამგეობას ორმოცდა ხუთი ათასი (45,000) მანეთი საჩხერეში ცეცხლისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა და დაწესებულებათა დასახმარებლად.

1918 წ. ნოემბერის 22.
საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## კ ა ნ ო ნ ი

**სალვთო სჯულის სწავლების გაუქმებისა.**

1. ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლაში გაუქმდეს სალვთო სჯულის სწავლება და სალვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა.

2. ხსენებულ სკოლებში დაიხუროს კრედიტი, რომელიც გახსნილი იყო სალვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგირისათვის.

3. შტატს გარეშე დატოვებულ სალვთო სჯულის მასწავლებელთ მიეცესთ ჯილდო, რომელიც დაწესებულია 1918 წლის ივლისის 5-ის კანონით.

4. იმ მშობლებს, რომლებიც მოისურვებენ თავის შვილებს თავის ხარჯით ასწავლონ სალვთო სჯული, დაეთმოთ სკოლის შენობა იმ საათებში, როდესაც ეს ხელს არ შეუშლის სხვა საგნების სწავლებას.

5. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა მთავრობის ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა“-ში.

1918 წ. ნოემბრის 26.
საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## არა ოფიციალური განყოფილება

# საქართველოს პარლამენტის სადღესასწაულო სხდომა

დღეს, 12 საათზე საქართველოს პარლამენტის სადღესასწაულო სხდომაა. საქართველოს ხალხის წარმომადგენლობა და მასთან ერთად ქართველი ერი ზეიმობს საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ექვსი თვის შესრულებას.

დღეს ქართველი ხალხი, მუდამ განაწამები და ბრძოლაში დაუსვენარი, მუდამ მტრით გარშემორტყმული და მებრძოლი თავისუფლების იდეალებისათვის, დღეს თავის წარმომადგენლების პირით ერთჯერ კიდევ იტყვის თავის გულიდან ამოხეთქილ სიტყვას სამშობლოს თავისუფლების და დემოკრატიის დასაცავად. დღეს საქართველო ზეიმით აღნიშნავს თავის განთავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. დღეს ყველას, მთელ კაცობრიობას იგი მტკიცე ხმით გადასძახებს, რომ ის განთავისუფლებული და დამოუკიდებელი დაიცავს თავის თავს, არავის გაექელვინება და ყველასთან მეგობრულად იქნება.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

**გენერალ-გუბერნატორი მაღლაკელიძე შ.-საქ. მინისტრთან.**

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგა თელავის მაზრის გენერალ-გუბერნატორი ბ. მაღლაკელიძე და ვრცელი მოხსენება წარუდგინა მინისტრს თელავის ამბების შესახებ.

**ლტოლვილთა შაქრის შესახებ.**

ბორჯომის სახალხო გვარდიის შტაბმა შინაგან საქმეთა მინისტრის შეკითხვაზე აცნობა სამინისტროს, რომ ის შაქარი, რომელიც ბორჯომში აღმოჩნდა გადაეცა უკვე ბაკურიანის ლტოლვილებს და თავის მხრივ ხელმეორედ არწმუნებს სამინისტროს, რომ ეს შაქარი სრულებით არ ეკუთვნოდა ლტოლვილთ, ვინაიდან ლტოლვილები არც კი იყვნენ ჩამოსულნი ბორჯომში, როცა ეს შაქარი ბორჯომში იყო, ასე რომ სომეხთა მზრუნველ კომიტეტის თხოვნა უსაფუძვლოა.

### ბათომში წამსვლელთა ნებართვის შესახებ

ქუთაისის საგუბერნიო კომისარის თანამდ. ალმ. გრიგოლია დეპეშით შეეკითხა შინაგან საქმეთა მინისტრს. ვრცელდება თუ არა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებზე სავალდებულო დადგენილება გენ.-გუბერნატორის ყარალაშვილისა, რომლითაც ბათომში წამსვლელთა ნებართვა უგენერალ-გუბერნატოროდ არავის შეუძლიან მისცეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გენ.-გუბერნატორს ყარალაშვილს მოსთხოვა განმარტება ამ საკითხის შესახებ.

## გზათა სამინისტროში.

### ავტომობილებით მოძრაობა.

საორგანიზაციო კომისიამ, რომელშიც შედიან გზათა საერთო საქმეთა მმართველი ფიცხელაური, გოგეშვილი და წივწივაძე უკვე მოაწყო ავტომობილების მოძრაობა ტფილისში და ტფილის მაზრაში ალბულახსა, კოჯორსა და ყაზბეგამდე. ყველა გზატკეცილებზე მალე დაიწყება ავტომობილებით მოძრაობა.

### ნავთი.

გზათა სამინისტროს საერთო საქმეთა მმართველის ბ. ფიცხელაურის მოხსენებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ილდოქანის და ფხოველის ნავთიან ადგილებს. მათი აზრით აქ ამოქაჩული ნავთი მთელ ჩვენ რესპუბლიკას ეყოფა, მხოლოთ საქმე ფართე ნიადაგზე უნდა იქმნეს დაყენებული, რომ მიწვეულ იქმნენ საქმეში კერძო ფინანსისტები და ექსპლოატაციის ნაწილი ეკუთვნოდეს თვით მთავრობას.

### ტყვიბულში.

გზათა სამინისტრო ამ ჟამად განაგრძობს ტყვიბულის მუშათა ლიკვიდაციის საქმეს, რომელიც მომთავრდება დეკემბერში. სულ 1700—1400 კაცამდეა ანგარიშ გასასწორებელი. ანგარიშის გასწორების შემდეგ დაიწყება ახალი მუშაობა.

### ლიანდაგის მდგომარეობა.

როგორც ძევის ხიდის, ისე მთელი ლიანდაგის მდგომარეობა კარგ მდგომარეობაშია

### შეშის მიწოდების საკითხი.

გენ. წულუკიძე ატყობინებს გზათა სამინისტროს სანაინიდან, რომ შეშის უქონლობის გამო მისდამი რწმუნებული 300 სული ჯარის კაცი სიცივეში სხედან და თხოულობს საჩქაროდ შეშის მოწოდებას.

## საქართველოს პარლამენტში

(29 ნოემბრის სხდომა)

თავმჯდომარეობს ე. თაყაიშვილი. მდივანი იოსებ აბაკელია. იკითხება დღიური წეს-რიგი, რომელშიაც შედის შემდეგი საკითხები:

1. საბოლოო ტექსტი—სამკურნალო მადნეულ აბანოების, წყლების და ტალახების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადების კანონისა.

მომხსენებელია შ. ამირეჯიბი.

2. კანონ-პროექტი—უმაღლეს პირველ-დაწყებითი სკოლების გახსნისა.

მომხსენებელია ნ. ცინცაძე.

3. კანონ-პროექტი—ერობათა დახმარების შესახებ.

მომხსენებელია ნ. ცინცაძე.

4. კანონ-პროექტი—გადიდებულ პირდაპირი გადასახადის და ბაჟის მოკრეფის არსებულ კანონის მოქმედების გაგრძელების შესახებ.

მომხსენებელია ი. ლორთქიფანიძე.

5. კანონ-პროექტი—მთავრობის წევრთა, მათი ამხანაგებისა და სახელმწიფო კონტროლიორის და მისი ამხანაგისათვის ჯამაგირის გადიდებისა.

6. კანონ-პროექტი—ევროპაში მიმავალ დელეგაციის საჭიროებისათვის $1^1/_2$ მილ. მან. გადადების შესახებ.

7. კანონ პროექტი—ტფილისის ქალაქის თვითმმართველობისათვის ოთხი მილ. მან. სესხად მიცემის შესახებ.

მომხსენებელია ნ. ცინცაძე.

8. პარლამენტის წევრის რევაზ გაბაშვილის მთავრობისადმი შეკითხვა—ხიდების აფეთქების განზრახვის შესახებ.

შ. ამირეჯიბის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო რედაქციით კანონი აბანოებისა და სამკურნალო წყლების სახელმწიფო საკუთრებათ გამოცხადების შესახებ, რის შემდეგ ირჩევა საკითხი უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლების შესახებ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ცინცაძეს.

ნ. ცინცაძე (ს. დ.) მოახსენებს კრებას, რომ საჭიროა გაიხსნას საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებლები. ასეთ ადგილებად კომისიამ აირჩია ტფილისის მაზრა, გორის მაზრა, ოსეთის ნაწილი და სხვ. სკოლები გაიხსნება მაგ. მცხეთაში, გურჯაანში და სხვ. არის აგრეთვე ადგილები, მაგ. ბანძა, ზუგდიდი და სხვ. სადაც ორ-კლასიანი სასწავლებლები უნდა გადაკეთდეს უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლათ. ზოგი ამ სასწავლებლებთაგანი მიღებულ იქნებიან ამ თავითვე ხაზინის ხარჯზე, ზოგი გადმოვა ხაზინის ხელში შემდეგ.

რ. არსენიძე. (ს. დ.) უსისტემობას ხედავს კანონ-პროექტში. მისი აზრით იქ არ არის დაცული რაიმე გეგმა, სისტემა. თვით პროექტი ძლიერ გამოურკვეველი და ბუნდოვანია. ამიტომ ს. დ. ფრაქციის აზრით ის უნდა დაუბრუნდეს კომისიას უკან საჭირო შესწორებების შესატანათ.

სპ. კედია ეთანხმება ორატორს, აღნიშნავს საერთოდ უსისტემობას სწავლა განათლების დარგში და მოითხოვს კანონ-პროექტის მეტათ სერიოზულათ დამუშავების საჭიროებას. კანონ-პროექტი გადაცემულ იქნა უკანვე კომისიაში.

ახვერდოვი (მაჰმად.) მიუთითებს პარლამენტს იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც არის ჩავარდნილი გაუნათლებელი ბორჩალოს მაზრა და საერთოდ მუსულმანთა რაიონები. ორატორი აღნიშნავს, რომ ტფილისშიაც არ არსებობს მაჰმადიანთა შკოლები. არის ერთი და ისიც უსახსრობის გამო იხურება. ამიტომ ის სთხოვს პარლამენტს მიაქციოს ამ მდგომარეობას ყურადღება და შესაფერი ნაბიჯიც გადასდგას.

ახმეტელი (რ. დ.) მოითხოვს რომ შკოლების გახსნის მხრივ მეტი ყურადღება მიექცეს მივიწყებულ თიანეთის მაზრას და საერთოთ ალაზნის გაღმა ნაპირს, რადგან იქ სრულიათ არავითარი შკოლები არ არსებობს და ხალხი გაუნათლებელიაო.

ნ. ცინცაძე (ს.-დ.) გამოდის მომხსენებლათ მეორე საკითხში-ერობათა დახმარების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს თუ რა დიდი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს ერობამ ჩვენს ქვეყანას და როგორ მდგომარეობაშია ეს ნორჩი ორგანიზაცია ამ ჟამათ. ორატორი ამბობს, რომ ერობა, რომელიც მუშაობის დასაწყობათ უკვე მზათაა თითქმის ყველგან-ვერ შესძლებს თავის მოვალეობის ასრულებას, თუ არ მივეცით რაიმე დახმარება, არ მივეშველეთ და არ ავამოქმედებთ. ამ მოსაზრებით კომისიამ დაადგინა, რომ მიეცეს ერობათა დაწესებულებებს საქართველოში 6 მილიონი სესხის სახით და სათანადო კანონ-პროექტიც წარმოადგინა. სესხი იქნება სარგებლიანი, 5%-ნი და ვადა გადაცილებულ თანხაზე ერობები იხდიან 12% პენის.

აკ. ფაღავა (ს.-ფ.) მხარს უჭერს კანონ-პროექტს და აღნიშნავს დახმარების საჭიროებას.

კანონ-პროექტი მიღებულ იქნა და გადაეცა საფინანსო კომისიას.

ი. ლორთქიფანიძის (ნ.-დ.) მოხსენებით უკამათოთ იქნა მიღებული კანონ-პროექტი გადიდებულ პირდაპირი გადასახადის და ბაჟის მოკრეფის არსებულ კანონით მოქმედების გაგრძელების შესახებ. პარლამენტმა მოისმინა მოხსენება ნ. ცინცაძისა (ს.-დ.) მთავრობის წევრთა, მათი ამხანაგებისა და სახელმწიფო კონტროლიორის ჯამაგირების მომატების შესახებ.

პარლამენტმა დაადგინა მიეცეს მთავრობის წევრთ და სახელმწიფო კონტროლიორს 3000 მანეთი თვიურათ; მათ ამხანაგებს 2700 მან. თვეში.

პარლამენტის წევრის პ. ქავთარაძის მიერ წარმოდგენილ იქნა კანონ-პროექტი, ქ. ტფილისისთვის 4 მილიონი სესხის მიცემის შესახებ.

ა. ფაღავა (ს.-ფ.) მხარს უჭერს ამ კანონ-პროექტს და აცხადებს რომ მისი ფრაქცია თანახმაა სესხის მიცემისა, მხოლოთ ასეთი სესხებით ქალაქი სულ ვერ იარსებებსო.

რ. გაბაშვილი (ნ.-დ.) ემხრობა მომხსენებელს, მხოლოთ აღნიშნავს, რომ ქალაქმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მცხოვრებთა მდგომარეობას; ქალაქი არ არის განათებული, არსებობს უსუფთაობა და ყველა ამის წინააღმდეგ საჭიროა მიღებულ იქნას ზომები.

ბ. ელიავა (ს.-დ. ქალაქის თავი) უპასუხებს ორატორებს, აღნიშნავს რომ იმაზე მეტის გაკეთება, რასაც ამ ჟამათ აკეთებს გამგეობა ყოვლათ შეუძლებელია და ეს თვით მთავრობამაც დაადასტურა „სმეტის“ განხილვის დროსო. ბ. ელიავა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ ჟამად ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაშია თითქმის ყველა ქალაქები, არამც თუ რუსეთში, ევროპაშიაც კი და თუ სადმე საშუალება არ მონახეს ქალაქებმა—მთელი მათი მეურნეობა და საერთო სისტემა დაირღვევა და განადგურდებაო. ასე ეხმარებიან ქალაქებს სახელმწიფოები და, რადგან ასეთი მდგომარეობა შეიქნა, ქალაქი იძულებულია აქაც მიმართოს მთავრობასო.

პარლამენტმა მიიღო კანონ-პროექტი სესხის გაღების შესახებ.

პ. ქავთარაძის მოხსენებით პარლამენტმა $1^1/_2$ მილ. მან. გადადო ევროპაში გასაგზავნ დელეგაციის ხარჯებისათვის. უკანასკნელი კითხვა—ბ. რევაზ გაბაშვილის შეკითხვა, მოხსნილ იქნა ავტორის მიერ.

კრება დაიხურა $2^1/_2$ საათზე.

## ვაჭრობა-მრეწველობის დარგი.

### შაბის საკითხი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ვაჭრობა მრეწველობის ნაწილისაგან ქალაქის გამგეობის მიერ მიღებული ცნობა შაბის მოწვდის შესახებ კუპერმანის ფირმის მიერ. ქალაქის გამგეობა სთვლის კუპერმანის ფასებს ძლიერ ძვირათ, მაშინ როცა ქალაქს წინადადება აქვს მიღებული სხვა და სხვა ფირმებისაგან შაბის მოწვდის შესახებ იაფ ფასებში. რაც შეეხება იმ გარანტიას, რომ შაბი მოტანილი საქართველოს ტერიტორიაზე ჩამორთმეულ არ იქნება რეკვიზიციის სახით, ამის შესახებ გაცნობებთ, რომ თუ ქალაქის ან სხვა მთავრობის და საზოგადო ორგანიზაციებისთვის საჭირო იქნება მოტანილი მის მიერ სანოვაგე ქალაქი რეკვიზიციაზე უარს არ იტყვის და წინასწარ გარანტიას ვერ მისცემს.

## ცნობა მოსკოვიდან.

(საქ. დეპ. სააგ.)

### ნიკოლოზ მეორეს სურათი

კრასნოვის ბრძანებით როსტოვის და ნოვოჩერკასკის ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში დაჰკიდეს ტრაურით მოსილი ნიკოლოზ რომანოვის სურათი.

### შემარცხენეთა მოწოდება

კარლ ლიბკნეხტმა, როზა ლუქსენბურგმა და კლარა ცეტკინამ მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მოწოდებით მიმართეს. პროლეტარიატს მოუწოდებენ ასდგეს და იბრძოლოს სოციალისტურ წყობილების დასამყარებლად.

### ებრაელების დარბევა

ლვოვში ებრაელების დარბევა ფართო ხასიათს იღებს. ჯარისკაცებმა დახოცეს ებრაელი მილიციონერები. დაიწვა 420 სახლი. სახლებში დაიწვა მრავალი ებრაელი. ცეცხლი რომ არ ჩაექროთ, წყალსადენი დაკეტეს. ქუჩაზე გამოჩენილ ებრაელს დაუყონებლივ კლავდნენ... უახლოესი მიზანია ტრანსილვანიის დაჭერა. რუმინიის ორი პოლკი ტრანსილვანიაში შევიდა.

### ფერდინანდის მიმართვა

მეფე ფერდინანდმა მოუწოდა ჯარისკაცთ იბრძოლონ ბოლომდე.

### ტიროლის ოლქი

იტალიის ჯარის მიერ დაჭერილ ტიროლის ოლქებში გაკრულია პროკლამაციები, სადაც ნათქვამია, რომ ეს ოლქები სამუდამოდ ეკუთვნის იტალიას.

### სოციალისტურ კონფერენციისათვის

... ვანდერველდე... აზრათა აქვთ მიმართონ მთელი ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს საკუთარ სოციალისტურ ბიუროს დასაარსებლად და ბრიუსელში სოციალისტურ კონფერენციის მოსაწყობად.

### პოლონეთის შესახებ.

სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა ნოტა, სადაც აუწყებს, რომ პოლონეთის სარეგენტო საბჭოს წარმომადგენლის დაპატიმრების შესახებ ცნობა სიმართლეს მოკლებულია. ნოტაში შემდეგ ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა არ სცნობს სარეგენტო საბჭოს პოლონეთის ხალხის წარმომადგენლათ, რადგან ის შესდგა გერმანელთა ხიშტების დახმარებით. დასასრულ ნოტა წინადადებას იძლევა გამოგზავნონ მოსკოვში პოლონეთის სახელმწიფოს წარმომადგენელი და თან აუწყებს, რომ მთავრობის წარმომადგენლათ ინიშნება მახლევსკი. კომისართა საბჭო საჩქაროთ მოითხოვს პასუხს.

### ბოლშევიკების გამარჯვება.

ჩუგუევის მაზრა ხარკოვის გუბერნიაში მეამბოხე ბოლშევიკების ხელშია. სოფლებში არჩეულია ღატაკთა კომიტეტები. არსდება კომინისტური იაჩეიკები.

### თავდასხმა პეტროგრადში.

შუაღამისას შეიარაღებულნი უცნობნი თავს დაესხნენ ნორვეგიის საელჩოს ბინას. გაჩხრეკის შემდეგ წაიღეს ძვირფასი ნივთები და საბუთები. ავაზაკები ავტომობილით მიიმალნენ. მათ დასაჭერათ მიღებულია ზომები.

### რვა საათის სამუშაო დღე.

ნაუენი, 28 ნოემბერი. ყველგან შემოიღეს 8 საათის სამუშაო დღე.

### ციმბირის მთავრობის გადადგომა.

სამარა, 27 ნოემბერი. მთავრობა გადადგა.

### გეტმანის ჩამოგდება და უკრაინის ახალი დროებითი მთავრობის მანიფესტი.

ყველა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს უკრაინის მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობის მანიფესტი. აჯანყებულ მუშათა და გლეხთა და უკრაინის რევოლიუციონურ ჯარის სახელით ვაცხადებთ, რომ გეტმანის მთავრობა ჩამოგდებულია. უკრაინის მუშათა და გლეხთა საბჭოების მთავრობა აღდგენილია. უკრაინის მუშებო, გლეხებო, უკრაინის წითელი არმიის ჯარისკაცნო! დადგა სანატრელი დრო, როცა უკრაინის დროებით გამარჯვებულ ბურჟუაზიის მემამულეთა და სკოროპადსკის მთავრობა დაემხო. აუწერელი უბედურების, დამცირების, ტანჯვის და სიღარიბის 7 თვე განიცადა უკრაინის მშრომელმა კლასმა. ქარხნები და ბანკები დაუბრუნეს კაპიტალისტებს და მემამულეებს. ასი ათასობით დახვრიტეს, ციხეები აივსო ღარიბებით იმიტომ, რომ არ ისურვეს კაპიტალისტების და მემამულეების სასარგებლოთ მუშაობა; სისხლიან დღესასწაულს იხდიდა ბურჟუაზია, მემამულენი, გეტმანის რადა, და მაშინდელი უკრაინის მფლობელნი გერმანიის კაპიტალისტები და გენერლები, მაგრამ უკრაინის მუშები და გლეხები არ დამორჩილდენ მათ და არ დაყარეს იარაღი. მათ თავი მოიყარეს თავის ერთად ერთ დამცველ ბოლშევიკების რევოლიუციონურ დროშის ქვეშ. ბოლშევიკები განაგრძობენ ბრძოლას ადგილობრივ, აერთებდენ ძალას, არღვევდენ მოწინააღმდეგის ძალას და უხსნიდენ ავსტრია-ჰუნგრეთის ჯარს, თუ რა სამარცხვინოა მათი მოქმედება, როცა ისინი კაპიტალისტებს ესარჩლებიან და მშრომელთა ჯალათებათ გამოდიან.

ეკატერინოსლავის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს მიერ არჩეულმა უკრაინის მთავრობამ, როდესაც საბრძოლველად მოუწოდა ხალხს, იცოდა, რომ დადგებოდა საათი, როცა გერმანელი მუშები გამოიღვიძებდნენ, გავნთავისუფლდებოდნენ და მოგვცემდნენ საშუალებას ჩვენც გავნთავისუფლებულიყავით.

დადგა დრო და გერმანიის და ავსტრია-ჰუნგრეთის მუშებმა და ჯარისკაცებმა ძალაუფლება ხელში აიღეს. დადგა დრო ბურჟუაზიის სიკვდილისა და მშრომელთა აღორძინების. ჩვენ, უკრაინის საბჭოთა ცენტ. აღმასრ. კომიტეტის წევრნი, მხარს უჭერთ აჯანყებულ მუშებს, გლეხებს და ჯარისკაცთ, ვემხრობით უკრაინის ცენტრალურ კომუნისტურ პარტიის დადგენილებას, და ვაარსებთ უკრაინის მუშათა და ჯარისკაცთა დროებით მთავრობას. აჯანყებულთა სახელით ვაცხადებთ: მინისტრები გადაყენებულია, ისინი კანონს გარეშე რჩებიან.

## ინგლისური პრესის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

### შეერთებულ შტატების კონფერენცია.

ბერლინში გაიხსნა გერმანიის შეერთებული შტატების კონფერენცია.

### ბრემენი ბოლშევიკების ხელში.

ბრემენი ბოლშევიკების სრულ კანტროლის ქვეშ არის.

### უკიდურესთა წინააღმდეგ.

კილის სამხედრო გემების კომანდამ რეზოლიუცია გამოიტანა, სადაც კიცხავს ბერლინის უკიდურესობის წარმომადგენლებს.

### ტყვეების მდგომარეობა.

დეპეშების ცნობით რუსეთ-გერმანიის საზღვარზე მყოფი რუსი და გერმანელი ტყვეები მეტად უნუგეშო მდგომარეობაში არიან.

### დანაკლისი.

საადმირალომ გამოაქვეყნა სამეფო ფლოტის აფიცერთა და ჯარისკაცთა დანაკლისის საერთო რიცხვი 1918 წლის 11 ნოემბრამდე. ამ რიცხვში შედის საზღვაო საჰაერო რაზმის დანაკლისი 1918 წ. 31 მარტამდე. დანაკლისი შემდეგია: ბრძოლის დროს მოჰკლეს და ჭრილობისაგან გარდაიცვალა 2466 აფიცერი, დაიჭრა 805, უგზო-უკლოთ დაიკარგა 15. ტყვეთ 222. სულ—3506. ჯარის კაცნი: მოკლულია და სხვა და სხვა მიზეზების გამო გარდაიცვალა 30895, დაჭრილია 4378, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 32, ტყვეთაა—953. სულ 36258. ამ რიცხვში შედის ბრიტანიის სავაჭრო ფლოტის და დამხმარე გემების დანაკლისიც.

## ქალაქის გამგეობაში.

### მილიციის რეორგანიზაცია

ქალაქის გამგეობამ მილიციის კომისიის თავმჯდომარის და მილიციის უფროსის ა. პ. ურუშაძის მონაწილეობით გუშინ განიხილა მილიციონერების სამსახურში მიღების და დათხოვნის შესახებ ინსტრუქციის პროექტი. ამ ინსტრუქციით ქალაქის გამგეობას განზრა-

ხვა აქვს მილიციის შტატის განახლება, რადგანაც ეხლანდელი მილიციის შტატი არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელიც მილიციისადმი უნდა იყოს წარდგენილი. ამ ინსტრუქციის ძალით მილიციონერების პროფესიონალურ კავშირს უფლება არა აქვს მილიციის უფროსის საადმინისტრაციო განკარგულებაში ჩარევისა და ან სამსახურში მიღებისა და დათხოვნის საქმეში. მილიციონერების სამსახურში მისაღებად არსდება ცალკე სარეკომენდაციო კომისია რომელმაც მთხოვნელის შესახებ ცნობების გასინჯვის გარდა უნდა შეამოწმოს მთხოვნელის სამსახურისთვის სივარგისე. მილიციაში მიღებულ იქნებიან ორგანიზაციების და ნდობილ პირთა რეკომენდაციით, ანუ ისინი, ვისაც თითონ მილიციის უფროსი იცნობს და ენდობა. უფროს მილიციონერებად სტუდენტები და დაბალ სასწავლებლებში მოსწავლენი არ იქნებიან მიღებულნი, რადგანაც ბევრმა წილმა მათთაგან აჩვენეს თავისი უვარგისობა ამგვარ სამსახურისათვის. უფროს მილიციონერის თანამდებობის ალაგას უნდა იყოს მიღებული არა ნაკლებ პროგიმნაზიის კურს დასრულებული. უნცროს მილიციონერებათ მიღებულ იქნებიან ნამეტნავად ისინი, ვინც სამხედრო სამსახურში ყოფილან და დისციპლინას ემორჩილებიან. უნდა იცოდნენ წერა-კითხვა, უნდა იყვნენ საღი და არა უხნესი 45 წლისა. სამსახურში მიღებულმა მილიციონერმა მილიციის სკოლა უნდა დაამთავროს, და ჩაირიცხოს ჯერ რეზერვში. მილიციონერების დანაშაულობის გამოსარკვევად არსდება საკონტროლო გამომძიებელი კომისია პარიტეტულ წესით, რომელიც თავის დასკვნას მილიციის უფროს წარუდგენს საქმის გადასაწყვეტად. ეხლანდელ მოსამსახურეთ მილიციაში, რომელთაც ამ ინსტრუქციის ძალით ვერ შეუძლიანთ სამსახური, ქალაქის გამგეობის დადგენილებით შეიძლება სამსახურიდან გაშვება.

### სტიპენდია

ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა რუსის მწერალ ტურგენევის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო დაარსოს ტფილისის სასწავლებლებში ორი სტიპენდია ამ მწერალის სახელისა ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა ბავშვებისათვის.

### სესხის მიცემა

საქართველოს პარლამენტმა 29 ნოემბერს მიიღო კანონ-პროექტი ტფილისის თვითმართველობას 4 მილიონ მან. უსარგებლოდ სესხად მიცემის შესახებ ქალაქის მოსამსახურეთა ჯამაგირების დასარიგებლად. დღეს ქალაქის მოსამსახურეთა დელეგატების კრება შესდგება.

—

ქალაქის მოსამსახურეების სექტემბრის ჯამაგირის მისაცემად ფინანსთა მინისტრის განკარგულებით ქალაქის გამგეობას ყოველ დღე ეძლეოდა 300,000 მან. მთავრობის მიერ გადადებულ $1^1/_2$ მილიონ მან. მილიციის ჯამაგირების დასარიგებლად.

### ტრამვაის მოძრაობის შესახებ

უშეშობის და უნავთობის გამო შემცირებული ტრამვაის მიმოსვლა ქალაქის გამგეობას დიდ ზარალს აძლევს. თუ ესეთი გარემოება დიდ ხანს გასტანს, მოსამსახურეთა ჯამაგირების მისაცემად ბ სხვა მიმდინარე ხარჯს 500,000 მანეთამდე თვეში არ ეყოფა, ეხლა სულ 28 ვაგონი მუშაობს. ამ ხარჯების უვალოდ დასაფარავად საჭიროა, რომ არა ნაკლებ 60 ვაგონი მუშაობდეს ყოველ დღე.

—

ტრამვაის მოძრაობის მოსამსახურეთა ე. ი. კონდუქტორებმა, ვატმანებმა, კანტროლიორებმა, სადგურების უფროსებმა, მეისრეებმა, გზების გამსუფთავებელმა მუშებმა და სხვ. ქალაქის გამგეობას საზამთრო ტანისამოსი მოსთხოვეს სამსახურის ხელშეკრულობის პირობებისამებრ. წინათ მათ ორი წლით ეძლეოდათ საზაფხულო და საზამთრო ტანისამოსი და ბელგიის უსახელო საზოგადოებას 45 მან. უჯდებოდა წელიწადში თითო სულის შემოსვა. ეხლა კი თითო მოსამსახურის შემოსვა ჯდება ათასი მან. და ამასთანვე დაბალი მასალის ტანისამოსი შეიძლება ეხლა შეკერვა, რის გამოც მოსამსახურეები თხოულობენ, რომ ეს ტანისამოსი მარტო ერთი წლის ვადით მიეცეთ. ქალაქის გამგეობამ უნდა შემოსოს 800 კაცი, რაც მას ამ გაჭირვებულ დროში დაუჯდება 800,000 მან.

## ერობა

### ტფილისის სამაზრო ერობა

ორშაბათს, 2 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში დილის 10 საათზე დანიშნულია კრება ტფილისის სამაზრო საერობო ხმოსნებისა.

### ერობა დუშეთის მაზრაში

დუშეთის მაზრაში ერობის შემომღებ კომიტეტისაგან მოვიდა საერობო არჩევნების შედეგი: მთელ მაზრაში ამომრჩეველთა რიცხვი ყოფილა 33644 არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 9025 სულს. ასარჩევ ხმოსანთა რიცხვი ყოფილა 25. სოც. დემოკრატებს № 1— მიუღია 7602 ხმა, სოც.-ფედერ. № 2 სიას მიუღია 1403 ხმა. არჩეულ ხმოსანთა რიცხვი სოც. დემოკრატ. № 1 სიით 20 კაცი, სოც. ფედ. № 2 სიით 5. პროცენტის მიხედვით სოც. დემოკრ. სიით არჩეულია 80 პროც. ხოლო სოც. ფედ. № 2 სიით 20 პროც.

## პარლამენტში

დღეს, დილის 12 საათზე საქართველოს პარლამენტის საზეიმო სხდომაა საქართველოს დამოუკიდებლობის ექვსი თვის შესრულების აღსანიშნავათ.

პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე უმორჩილესად სთხოვს მოქალაქეთ წესიერების დასაცავად არ მივიდნენ სასახლეში დღის საზეიმო სხდომაზე, თუ ამაზე შესაფერი ბილეთი არა აქვთ, ვინაიდან მთელი ბილეთები უკვე განზრახული განსაზღვრულ ადგილებზე, დარიგებულია.

## ქრონიკა

○ გუშინ საღამოს ინგლისის მისია გენერ.-მაიორ მაკდონალდის მეთაურობით ბაქოში გაემგზავრა.

○ ბათომისკენ გაემგზავრა სომეხთა დელეგაცია ჯამალიანის და გენ. არეშოვის მეთაურობით მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლების შესახვედრად.

○ 29 ნოემბერს ინგლისელ ბაქოს კონსულმა მაიორმა მაგდონალდმა ინახულა სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ა. ჯამალიანი და ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა მასთან.

○ სამარადან დეპეშით იტყობინებიან, რომ სარატოვში ბალშევიკებმა დააპატიმრეს გაზ. „ჰორიზონის" გამომცემელი მილიონერი მელიქოვი.

○ შუაღამის იქით ქუჩაზე გამოსვლისთვის უნებართვოთ შეპყრობილ იქმნენ და დაპატიმრებულნი ციხეში სხვა და სხვა ვადით 29 კაცი.

○ თავის დროზე იარაღის ჩაუბარებლობისათვის შეიპყრეს და ციხეში მოათავსეს: ს. გეცაძე, მ. გვარამაძე, დ. ჯაფარიძე, ი. კოჩლამაშვილი და გ. მამულოვი 6 თვით თითო. ნ. კეკელიშვილი 3 თვით ს. მუხთაროვი დაჯარიმებულ იქმნა 500 მანეთით.

○ 29 ნოემბერს ვილაც უცნობებმა გაქურდეს სომეხთა ვანქის ტაძარი. ქურდები ჯერ ვერ აღმოაჩინეს და წაღებულ ნაქურდის რაოდენობა არ არის ჯერ გამორკვეული.

○ 29 ნოემბერს სუკიასოვის საწყობიდან (მიხეილის პრ. № 7.) მოიპარეს 400 ბოთლი კონიაკი 8 ათას მანეთად ღირებული.

## განცხადებები

**მედიცინის დოქტორი**
ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

624. 18—13.

ეძებს შესაფერ ადგილს მთავრობის თუ კერძო დაწესებულებაში

**ბუხჰალტერი, ქართველი,**
**გამოცდილი მოანგარიშე და საქმის მწარმოებელი.**

შეუძლიან ქართულად კარგად აწარმოოს ანგარიში და ყოველგვარი მიწერ-მოწერა. აქვს ბე. პირობები შეიძლება შეატყობინოთ ამ მისამართით: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, სახლი № 1, სასტუმრო „პრიმა", ოთახი № 25.

## აუქციონი

ტფილისის ქალაქის ლომბარდი, საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, დეკემბრის 1-ს დილის 10 საათზე, ლომბარდის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ვადა გასულ გირაოებზე, რომლებიც შეიცავს ძვირფას ლითონებს და ქვებს, ლითონის საგნებს, საკერავ მანქანებს, ხალიჩებს, ტყავეულობას, ტანისამოსს და საერთოდ ყოველგვარ მოძრავ ქონებას.

№№ ძვირფას გირაოებისა 80054, 85269, 85410, 87434, 89041, 98461, 98462, 98463, 98464, 98523, 98581, 98689, 98765, 98771, 98786, 98793, 98889, 98927, 98993, 99020, 99113, 99115, 99127, 99157, 99160, 99175, 99201, 99216, 99219, 99254, 99255, 99336, 99355, 99367, 99382, 99414, 99416, 99433, 99435, 99441, 99475, 99480, 99515.

№№ ლითონის და სხვ. გირაოებისა 14490, 14772, 14849. 1113 1—1

---

გრიგორი ვასილის ძე აპრიამოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის მილიციის სამმართველოდგან მიცემული პასპორტი, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1101. 3—3

---

ნიკოლოზ კუდაინოლტის ძე კულაევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი. მპოვნელს სთხოვს მიუტანოს საგუბერნიო კომისარიატის საამშენებლო განყოფილებაში. პასპორტი გაუქმებულად ითვლება. 1102 3-2

---

შორაპნის მაზრის კომისარიატი ეძებს ხარაგოულის საზ. კომისრის მიერ დაკარგულ სახელმწიფო ბეჭედს. მპოვნელს სთხოვენ წამოადგინონ კომისარიატში. 1071 3—2

---

მარიამ იოსების ასული ტრეტიაკოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ანდერძი დატოვებული ვასილ ალექსანდრეს ძე მაკაროვის მიერ, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1095. 3—3

---

დუშეთის მაზრის კომისარიატი აცხადებს, რომ ქალ. დუშეთში მცხოვრებელმა გიორგი ოსიპის ძე სარქისოვმა გამოაცხადა, რომ მას ბათუმში ამ წლის აპრილში დაუკარგავს უვადო პასპორტი, მიღებული ქ. დუშეთის თვითმართველობიდან 10 ენკენისთვეს 1913 წ. № 26. პასპორტი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1094. 3—3

---

ბარბარე ზაქარიას ასული ალუაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1100 3—3

---

არტაშეს გიორგის ძე კოლოტოზოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტალონები მიცემული ტფ. სალიკვიდაციო კომისიიდგან ერთი 2 მაისს 1918 წ. № 131264—8400 მანეთისა· მეორე № 41749—4300 მანეთისა და მესამე № 41750—2000 მანეთის მიღებული 14 ივნისს 1918 წელს, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. მნახველს სთხოვენ გაუგზავნონ შტაბის ქუჩა № 6 კოლატოზოვს. 1098 3—3

---

დავკარგე უვადო პასპორტი მოცემული ოზურგეთის მაზრის უფროსისაგან № 393, რომელზედაც არის ჩემი სურათი შემოწმებული № 237, სამხედრო ბეგრისგან განთავისუფლების ბარათი № 113 მოცემული სამხედრო უფროსისაგან. მპოვნელს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: მე-10 კომისარიატი, ბაქოს ქუჩა, სახლი № 18. რისთვისაც მპოვნელი მიიღებს შესაფერს საჩუქარს. პავლე არჩილის ძე წილოსანი. 1096. 3—3

---

პელაგია საფუტინა აცახდებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 57 რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1112 3—1

---

კავკასიის სამთო სამმართველო ამით აცხადებს, რომ 1906 წ. აპრილის 6 მის მიერ მიცემული უვადო პასპორტი ინჟენერ მარიან ივანეს ძე ჩენგერის სახელზე, დაკარგულია. პასპორტის მპოვნელს ვთხოვთ წარმოადგინოს იგი სამთო სამმართველოში, პეტრე დიდის ქ. № 10. 1058. 3—2

---

დავკარგე პასპორტი № 175 მოცემული ოზურგეთის კომისარიატიდან. მპოვნელს ვთხოვთ დაგვიბრუნოს შემდეგი მისამართით: ბატარეინაია № 22 ერმილე პავლეს ძე ჯინჭარაძე. 1099. 3—2

---

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს ვასილ ვასილის ძე ბოლდირევის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბოლდირევის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მეათე ტ. I ნ. 1241 მუხ. თანახმად. 1105 1—1

---

სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე ამა წლის ოქტომბრის 17 დადგენილების თანახმად, სისხ. სამ მე-846 მუხ. ძალით ეძებს ქ. სოხუმის მცხოვრებს მაქსიმე შენგელიას, რომელიც ვაჭრობდა სოხუმში სავაჭრო ქუჩაზე. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს შენგელია, ვალდებულია განუცხადოს მომრიგებელ მოსამართლეს. 1047 1—1

---

ქუთაისის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის ბოქაული ვ. მხეიძე სამოქალაქო [illegible] წესდების 1030 მუხლის თანახმათ, აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 13, დილის 10 საათზედ ს. კურსებში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სიმონ თომას ძის, პავლე და დომენტი ფირანის ძეთ უგრეხელიძეების მოძრავ ქონებაზე რომელიც შეიცავს ხუთი ხის სახლს, შეფასებულს 2,800 მანეთად, გაბრიელ მიხეილის ძის არჯევანიძის ვალის დასაკმაყოფილებლათ, თანახმათ აღმასრულებელი ფურცლისა, რომელიც არის მიცემული 18 ოქტომბერს 1918 წ. 170 1—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 14 დამტკიცებულია, ამა წლის ნოემბრის 4 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე ნინო ანდრიას ასულმა მიზანდარიმ 36000 მან. მიჰყიდა ივანე მიხეილის ძე ფხაკაძეს და რაჟდენ ფილიპეს ძე ჭარხალაშვილს მიწის ნაჭერი შენობით ქუთაისში, ბაზრის ქ. ზომით: სიგრძით აღმ. 7 საჟ. დასავლ. 7 საჟ. განით სამხრ. 7 არშ. ჩრდ. 7 არშ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 1440 მ. მთავარი ამონაწერი 180 მ. ღირებულობის საღერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ნოემბრის 14. 1073 1—1.

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 13 დამტკიცებულია, ამა წლის ნოემბრის 1 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე ლეონტი ივანეს ძე შავგულიძემ 1000 მან. მიჰყიდა სილიბისტრო, არსენ და ივანე თედორეს ძე ჩოგოვაძეს მიწის ნაჭერი ქ. ქუთაისში, ორპირის ქ. ზომით 60 ოხთკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 40 მან. მთავარი ამონაწერი 5 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ნოემბრის 13. 1074 1—1.

---

სისხლის სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმად, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით, ეძებენ ბრალდებულს, გლეხს ს. ტერეტეგოსი, თიონეთის მაზ. ცოტეშ ძოძოს ძე ფერეზაულს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-346 და 2 ნაწ. 1493 მუხ. ძალით.

ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ფერეზაული, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება ბრალდებულის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 994. 1—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 19 დამტკიცებულია, ამა წლის ოქტომბრის 23 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ვიქტორ კონსტანტინეს ძე ხელაიამ 15000 მან. მიჰყიდა ანდრია ტიმოთეს ძე დუნდუას მიწის ნაჭერი შენობებით ქ. სამტრედიაში, ზომით: სიგრძე—15 საჟ. სიგანე—3 საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 600 მან. მთავირი ამონაწერი 75 მ. ღირებულობის საღერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ნოემბრის 19.

1072. 1—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 13 დამტკიცებულია, ამა წლის აგვისტოს 24 შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. ქუთაისმა 438 მ. 75 კაპ. მიჰყიდა ივანე ტიხონისძე კუროჩკინს მიწის ნაჭერი ქ. ქუთაისში ზომით 195 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 17 მ. 56 კ. მთავარი ამონაწერი 2 მ. 50 კ. ღირებულობის საღერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ნოემბრის 13. 1075 1—1

---

1918 წ. სექტემბრის 14 ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანად დაამტკიცა 1917 წ. დეკემბრის 29 შედგენილი ნოტარიალური ანდერძი გუსარ გიტოსძე გრიგოლიასი, რომელიც ცხოვრობდა ქ. ახალ-სენაკში.

628 1—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 17 დამტკიცებულია, ამა წლის ივნისის 25 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სიმონ ბეჟანისძე რუხაძემ და სოლომონ ალექსისძე მიქაძემ 1000 მან. მიჰყიდა ნესტორ სიკოსძე გობაძეს მიწის ნაჭერი ქ. სამტრედიაში. ზომით 1208 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 40 მან. მთავარი ამონაწერი 5 მან. ღირებულობის საღერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის აგვისტოს 17. 827 1—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.